საქართველოს
ფოლკლორის
სახელმწიფო
ცენტრი

## 2015 წლის IV კვარტლის ანგარიში

❖ 9 ოქტომბერს ქალაქ გორის კულტურის ცენტრში გაიმართა საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის შესარჩევი ტური - მეორე ეტაპი.. მონაწილეობდნენ: ტრადიციული გალობის საეკლესიო გუნდები, ფოლკლორული ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები, ხალხური მთქმელები, ქორეოგრაფიული ანსამლები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატები.

❖ 13 ოქტომბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა გამოფენა - შემოდგომა - 2015 - ფერწერა, ქანდაკება.

❖ 16-17 ოქტომბერს, თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით, აბანოთ უბანში დ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ მოეწყო ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი; 15 თვითნასწავლი მხატვრისა და ოსტატის 350-ზე მეტი ნამუშევრის გამოფენა.

❖ 20 ოქტომბერს ქალაქ ოზურგეთში, ალექსანდრე წუწუნავას სახელობის დრამატულ თეატრში, გაიმართა საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის გურიის რეგიონის შესარჩევი ტური. მონაწილეობდნენ: მგალობელთა გუნდები და ფოლკლორული ანსამბლები (25), სახალხო მთქმელები (12), სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატები (62).

❖ 21 და 22 ოქტომბერს - აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სარეპეტიციო დარბაზში, ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის აჭარის რეგიონის შესარჩევი ტური გაიმართა.

❖ 27 ოქტომბერს რუსთავში, გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის თეატრში, გაიმართა  საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ქვემო ქართლის რეგიონის შესარჩევი ტური.

მონაწილეობდნენ: მგალობელთა გუნდები და ფოლკლორული ანსამბლები (20), სახალხო მთქმელები (8), სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატები (46).

❖ 29-30 ოქტომბერს ქუთაისის, მელიტონ ბალანჩივაძის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, გაიმართა საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის იმერეთის რეგიონის შესარჩევი ტური. მონაწილეობდნენ: მგალობელთა გუნდები და ფოლკლორული ანსამბლები (33), სახალხო მთქმელები (25), ქორეოგრაფიული ანსამბლები (9), სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატები (65).

❖ 6-14 ნოემბერს საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის თბილისის ტური ჩატარდა. თბილისის შესარჩევ ტურზე წარმოდგენილი იქნა: ხალხური ცეკვა და მუსიკა, ზეპირსიტყვიერება, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ფოლკლორული ანსამბლებისა და საეკლესიო მგალობელთა გუნდების შემოქმედება, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატების მიერ შექმნილი ნამუშევრები.
ფესტივალისთვის ფოლკლორული კოლექტივების შერჩევა საქართველოს ყველა რეგიონში მოხდა. ლაურეატების დაჯილდოება და გალა კონცერტი კი 2016 წელს გაიმართება.

❖ 17 ნოემბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა საქართველოს სახალხო არტისტის, ჟურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის, ,,სუხიშვილების" ანსამბლის ყოფილი წამყვანი სოლისტის თენგიზ უთმელიძის პერსონალური ფოტოგამოფენა - ,,ქართულო ცეკვავ, სულო ელვისა".

❖27 ნოემბერს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივითა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა პროფესიულ სასწავლებლების სტუდენტთა გამოფენა - „ქართული ეთნოგრაფიული სამოსი".

❖28 ნოემბერს, გურიის სოფელ მაკვანეთში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ, გურული სიმღერის დიდოსტატს და ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებელს გური სიხარულიძეს, ქართული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, კულტურის სამინისტროს უმაღლესი ჯილდო - ,,ხელოვნების ქურუმი'' გადასცა.
ღონისძიებას ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი გიორგი დონაძე, გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორი გია სალუქვაძე, და ოზურგეთის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე ესწრებოდნენ..

❖ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში განიხილეს და შეაჯამეს რაჭა-ლეჩხუმის კომპლექსური ექსპედიციის შედეგები.

ექსპედიციამ 2015 წლის 1-12 აგვისტოს მოიარა და შეისწავლა რაჭა-ლეჩხუმის 24 სოფელი, სამუნიციპალიტეტო ცენტრები და მნიშვნელოვანი მასალები მოიპოვა სამუსიკო ფოლკლორსა და ზეპირსიტყვიერებაში, ასევე ეთნოლოგიაში.

❖ 8 დეკემბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა გამოფენა - Art 8+7. ეს გამოფენაც ქართული ეროვნული მხატვრობის ისტორიული პერიპეტიებისა და ევოლუციის ერთგვარი გამოძახილია.

ჯგუფური ექსპოზიცია სხვადასხვა თაობის მხატვრებს აერთიანებს. უფროსი თაობის მხატვრებთან ერთად მონაწილეობდა ახალგაზრდა ნიჭიერ მხატვართა მცირე ნაწილი, რომლებიც თანამედროვე ქართულ ავანგარდულ მხატვრობაში თავიანთ სიტყვას ამბობენ

❖ 10 დეკემბერს რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში გაიმართა ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის ხალხური პოეზიის საღამო.
საღამო მიეძღვნა ზეპირსიტყვიერებაში განსაკუთრებული დამსახურების მქონე პიროვნებების ალექსი ჭინჭარაულის (90), ვახუშტი კოტეტიშვილის (80) და იურა (გიორგი) ჯაფარიძის (75) ხსოვნას.
ღონისძიებას ჩატარდა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებითა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით. საღამოს დაესწრო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე.

❖ გამოიცა მონოგრაფია - „პოლიკარპე ხუბულავა“



❖ გამოიცა მონოგრაფია - „ანდრო სიმაშვილი“



- მიმდინარეობს მუშაობა დავით ჯავრიშვილის ანთოლოგიაზე

- მიმდინარეობს მუშაობა მონოგრაფიაზე - „რაჟდენ ხუნდაძე"

- მიმდინარეობს მუშაობა კრებულზე -„ქართული საეკლესიო გალობის ანთოლოგია“.

- გამოსაცემად მზად არის მონოგრაფია - „როსტომ გოგოლაძე“

- მიმდინარეობს მუშაობა ცენტრის ახალი ვებ.გვერდის www.folk.gov. შევსებაზე. მომხმარებელს უკვე საშუალება აქვს გაეცნოს აღნიშნულ საიტზე განთავსებულ მასალებს.

- მიმდინარეობს ინტენსიური საქმიანობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საქართველოს რეგიონებში წარმომადგენლობების გახსნასთან დაკავშირებით.

❖

რეგულარულად ვუწევთ რეკომენდაციებს შემოქმედებით თუ საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა ანსამბლების ხელმძღვანელებს, მომღერლებს, ქორეოგრაფებსა და მოცეკვავეებს, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატებსა და მხატვრებს, მთქმელებს, სახალხო თეატრების რეჟისორებს და ასევე სხვადასხვა რაიონის კულტურის სამსახურის უფროსებს.

❖ ყოველდღიურად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივის შესავსებად.